

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მთვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 4 1883—1897 15—28 თებერვალი

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
2 თთვით 3 მან. 12 თთვით 5 მან.	
6 — 2 — 6 — 3 —	

შულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Квиринск, в редакцию „Мисси“ и „Пастыр“.*

შველა სტატიები და კორექსიონები, რომელნიც იქმნებიან დასაბუქდავით გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თთვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

დამიანის ჭკმბარტი ბედნიერება მხოლოდ არწმუნობაშია; ღ თუ იგი ამას ვერ ჰყოფლობს სარწმუნობაში, რა არის ამის მიზეზი?

შფოთით და მწყუხარებით აღსავსეა ჩვენი ცხოვრება. საითაც არ გაიხედავთ, ყოველგან ტირილისა, კვნესა და ოხვრა ისმის, ყოველგან მკმუნვარებასა ტანჯვა-წვალებაა. აქ სასტიკი სიღარიბე ხალხს იწროებს, ართმევს მას სიამეს და სიხარულსა, აიძუ-

ლებს მას ხანგრძლივ, არაძალისებრ და დამასუსტებელ შრომაზე. საცოდავი ადამიანი ერთი ლუკმა ჰურისთვის იძულებულია ყინვაში კანკალებდეს, ჰაპანაქება სიცხეში იწოდეს, მტვერი ყლაპოს, მყარალ შმორიან მიწის ქვეშეთში გაფუჭებული ჰაერი სუნთქოს და ყველასგან დამცირება, შეურაცხყოფა და დაცინება ითმინოს. ერთხელ მაინც გაანათებდეს მის სიბნელით მოკულ ცხოვრებაში ცხოველ მყოფელ სინათლისა, მხიარულებისა და კმაყოფილების სხივები. მაგრამ უბედური სიცოცხლის მზის ელვარების უხილველად ჩადის საფლავში. აქ სწეულებანი სწამელენ და

ტანჯვენ ადამიანსა, აუძლორებენ და ახმოზენ მისს ერთ ღროს მშვენიერ და სიცოცხლით აღსავსე სხეულსა, აშთობენ და ჰკვეთენ მასში ყველა საუკეთესო მისწრაფებათა, ჰყავთ იგი მიჯაჭვული ერთ ადგილას თთვეობით და წლობითაც. საბრალო მუდამ გარემოცულია შავის ფიქრებით, მის გულში ბნელი გრძნობები მღელვარებს. მას ხშირად თვალ წინ შიშის ზარდამცემი კუბო ეხატება და ესმის დამალონებელი ხმები სამგლოვიარო საგალობელთა. საწყალი მოკლებულია ყოველგვარ სინარულსა, ნუგეშსა და გულის სიმშვიდესა. აქ ბოროტმომქმედთა მიუღიათ გარეგანი სახე კეთილისა და სიყვარულისა და ხერხიანად და ფარულად უთხრიან სამარეს თვისს მახლობლებს და ნაცნობებსა და, იშოვნიან თუ არა მარჯვე ღროს, უეცრივ მოულოდნელად გადაყრიან მათ მასში. უბედურნი ასე სასტიკად მოტყუებულნი იმ პირებისგან, რომლებზედაც ისინი დაიმედებულნი იყვენ, მწარედ სტირიან და მოთქმენ და ამით კიდევ უფრო აძლიერებენ სიმძიმეს თვისს სამწუხარო მდგომარეობისას. იქ უგულონი, შეუბრალებელნი დანაშავეთ ძმურად არ აპატიებენ, წარმოსთქმენ ფიცხელ განჩინებას მათ შესახებ, უმოწყალოდ მათრახს სცემენ მათ, არცხვენენ მათ სახელს და ბოლოს უღებენ მათ კეთილ ღღობასა. აქ უღმობელი სიკვდილი ადამიანებს უღროოდ მოსტაცებს ხოლმე ძვირფასს, საყვარელ პირებს, ხშირად იმისთანა პირებს, რომლებიც მათ ერთად-ერთ იმედს და ნუგეშს შეადგენენ, და ამისთანა უბედურებით ზარდაცემულნი, ამ გვარად დაობლებულნი ამაოდ ურეგბენ და გლოვენ, ტყუილად ღვრიან ცხარე ცრემლებსა. აქ.. მაგრამ შეიძლება აღრიცხვა ყველა იმ უბედურებათა, რომელთა ტვირთ ქვეშ იქანცება და იხოცება კაცობრიობა? განა შეიძლება დათვლა ყველა იმ ამოსკვნათა, რომელნიც აღმოხდებიან მრავალ ტანჯულ კაცობრიობის გულის სიღრმიდამ? დიად, ფრიად და ფრიად მძიმე და სამწუხაროა კაცის ცხოვრება .. და აი უუსაჭიროესი მწველი კითხვები! სად შეუძლია საწყალ ადამიანს ნახოს შეურყეველი საყრდნობი ბოძი, რომ ის იყოს შეუძვრელი ყოველგვარ უბედურებაში? სად შეუძლია მას ჰპოვოს ის ძალა, რომლითაც გაუმაგრდეს იგი წუთი სოფლის დაუდგრომელობას და მღელვარებასა? რაში შეუძლია მას ნახოს ნუგეში და ბედნიერება სხვა და სხვა გვარ გაჭირვების ღროს? სიმდიდრეში?—მაგრამ, განა შე-

იძლება დანდობა იმაზე, რაც მოკლე ჟამიერი და ხრწნილებადია? საკმარისია ერთი გაუფრთხილებლობაც და მოულოდნელი შემთხვევა, რომ მთელი ჩვენი ნივთიერი ქონება ანუ სხვის ხელში ჩავარდეს, ანუ რაოდენიმე წამში სულ ერთიანად გაქრეს გამოუდგომლად ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც, როგორც ეს მაგალითად ხდება ცეცხლის წაქიდების ღროს და ზღვაზე უბედურების ღროს. შემდეგ, განა მხოლოდ მარტო ნივთიერება დააკმაყოფილებს ყველა ჩვენ არსებობის კანონიერ მოთხოვნილებათა? ანუ უნდა ვიფიქროთ, რომ კაცს ძალუძს იპოვოს ბედნიერება უმადლეს საზოგადოებრივ მდგომარეობაში?—მაგრამ, ვინ არ უწყის, რომ საკმაოა, კაცმა, რომელსაც საზოგადოებაში საპატიო ადგილი უკავია, ერთხელვე მოიქცეს წინდაუხედველად, განუსჯელად, საკმარისია, რომ მან ერთხელავე დაიმსახუროს წყრომა და რისხვა ძლიერთა ამა სოფლისა, და ის უეცრად დაკარგავს სოფლიურ სიღიადესა და ბრწყინვალეობასა. ანუ მეგობრობაში, ამხანაგებთან და ნაცნობებთან ერთობაში უნდა ვეძიოთ ბედნიერება?—მაგრამ, განა შეიძლება დაიმედოვნება იმაზე, ვინც თვისს აზრებს, გრძნობებს, სურვილებს მუდამ იცვლის? განა არ ვხედავთ ამისთანა მაგალითებს, რომ გუშინდელი ჩვენი ერთგული მეგობარი, ღღეს ჩვენი დაუძინებელი მტერი ხდება? ამას გარდა, სინამდვილე ცხადად გვიმტკიცებს, რომ ადამიანები უახლოვდებიან ერთმანერთსა ხშირად იმისთვის, რომ ერთი მეორის ნაცნობობიდან სარგებლობა გამოიტანონ; და ამიტომაცაა, რომ როცა ერთმანეთი არ ეჭირვებათ, მაშინ თავისუფლად განემოზრებიან ერთმანერთსა. ანუ შეიძლება მეუღლეში ვპოვოთ ბედნიერების დაუშრეტელი წყარო?—მაგრამ ვის შეუძლია სთქვას დარწმუნებით, რომ მომხიბვლელ სილამაზის ქვეშ გესლიანი გველი არ იმალება და ტკბილ სიტყვებში მომკვლელი ორგულობა და ღალატი არაა დაფარული? განა შეიძლება დაბეჯითებით თქმა, რომ ცხოვრებაში თანამგზავრი იმის მაგიერ, რომ მან გაუადვილოს თვისს მეუღლეს სვლა ცხოვრების ეკლიან გზაზე, უფრო არ დაუმძიმებს და არ მოუწამლავს მას სიცოცხლესა? ანუ მეცნიერებაში უნდა ვეძიოთ ბედნიერება?—მაგრამ, განა არ ვხედავთ იმისთანა მაგალითებს, რომ კაცი ბრძენი, მრავალმოცოდნე, მეცნიერი, რომელმაც ყოველივე თვისი ძალ-ღონე გაონებას, სწავლა-განათლებას შესწირა, ვერ პოულობს

სრულ კმაყოფილებას მარტო ცოდნაში, რო მის სულს კიდევ სწყურია, რომ მას კიდევ რაღაც სურს, რომ ის ხშირად ნაღვლით და სევდით მოიცვება და იტყვის: სიცოცხლე ფუჭო, უბრალო ნიჭო, რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა?... ანუ საგანი რა არს, ვერ ვცანი ამ სოფლად ჩემისა მოსვლის?... (გრ. ორბელიანისა, მიბაძვა პუშკინისა). დიახ, ზემო ჩამოთვლილ ქვეყნიურ სიკეთეთა არ ძალოდთ მისცენ აღამიანს ნამდვილი, უცვალელები ბედნიერება, არ შეუძლიათ მიანიჭონ მას ძალა მოთმინებით და უღრტვინველად ატანისთვის მწუხარებათა და უბედურებათა. ამის ქმნა მათ არ შეუძლიათ პირველად იმიტომ, რომ თვით ისინი უხანონი და დაუდგრომელნი არიან, და მეორედ კი იმისთვის, რომ ისინი აღამიანს აკმაყოფილებენ მხოლოდ ზოგიერთ მხრით, ხოლო ყოველ მხრივ კი ვერ კმაყოფილყოფენ მას. კიდევ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ისინი არ არიან ყველასთვის მისაწოამელნი; მხოლოდ უმცირესობა-ბედის რჩეულები ფლობენ მათ.

ამნაირად, სად უნდა პოვოს აღამიანმა მტკიცე ნიადაგი და წარუვალი, შეუწყვეტელი ბედნიერება? ის პოვებს მათ მხოლოდ სარწმუნოებაში (რელიგიაში), ანუ უკეთ რომ ვთქვათ ცხოვრებაში ქრისტესთანა. ამაო და უნაყოფოა ყოველივე ცდა ბედნიერების პოვნისა გარეშე სარწმუნოებისა. მხოლოდ მასში ჩქეფს უღვევი წყარო ცხოველი წყლისა, განმაგრებელი და დამატკობელი სულისა; და მხოლოდ ამ უკვდავების წყლის მსმელში სუფევს დაურღვეველი სიმშვიდე და კმაყოფილება. ვინც მართლაც თანაეზიარა ქრისტესებრივ ცხოვრებასა, ვინც თვისი გული მიაპყრა, შეუყრთა ღმერთსა, ვისაც მასთან ცხოველი კავშირი აქვს და მუდამ მასთან იმყოფება, ვინც განეშორება ბიწიერ მიდრეკილებათა და ჩვეულებათა და ისისხლხორცებს სახარებისებრივ, სათნოებათა, -ის ჭეშმარიტად ბედნიერია. მისი სული ივსება იმ ღვთაებრივ ცხოვრებითა, რომელიც გამოიხატება იმ ნათლოვან გრძობებში და სულის განწყობილებებში, რომლებსაც პავლე მოციქული უწოდებს სულის ნაყოფთა. სახელდობრ, სიყვარულში, სიხარულში, მშვიდობაში, სულგრძელებაში, სიტკობებაში, სახიერებაში, სარწმუნოებაში, მკუდროებაში, მარხვაში, მოთმინებაში (გალატ. 5, 22.) ამისთანა კაცი თვის ცხოველ და კეთილ განწყობილებაში ზეციერ მამასთან პოულობს ამ ცოდვით

სავსე ქვეყანაში არაპარს სიტკობებას და სულის კმაყოფილებას. ის მაგრად, სწორად, მხნედ და მხიარულად მიდის ცხოვრების ეკლიან გზაზე; ვერასფერი მას ვერ შეაჩერებს და გზას ვერ დააკარგვინებს, ის თამამად და მედგრად ებრძვის სხვა და სხვა დაბრკობებათა და იცილებს მათ თავიდან. ეწვეიან მას უბედურებანი?-ის ტანჯვათა ცეცხლშია ცუვენებელი და ბრწყინვალის სახით გადის. შეუმცირდება მას ცხოვრების საშუალება, იძულებულ იქნება იგი დაჯერდეს გამხმარ მჭადსაც? მაშინაც იგი ბედნიერია, ის აღამაღლებს თვისს გონებას და გულს ღვთისადმი და მხურვალე ლოცვაში ხორციელ საზრდოს ნაცვალ-პყოფს სულიერ საზრდოთი, და მისი სული ძლება, ივსება სიხარულითა, და მისს სხეულს ძალა ემატება. დასცემს მას სასტიკი სენი, აეშლება მას ტკივილები და დაუწყებს მას ქენჯნას?—მაშინაც იგი მოსვენებული და ბედნიერია, მისი სული აღფრთოვანდება ღვთისადმი, მის წინ იხსნება ცა, და ის ხედავს დიდების ტახტზე მჯდომარეს, და იქიდან გადმოდის მასზე საოცარი დამატკობელი ცხოველი წყალი, გამომწველებელი სიცხისა და დამაწყნარებელი წყლულებისა. გარემოიცივენ მას ყოველ მხრიდან მტერნი, შეავიწროებენ და დაუწყებენ მას შემუსვრასა?—მაშინაც იგი დამშვიდებულია: ის აღმართავს თვისს გონებას და გულს ღვთისადმი, მწუხარეთა ნუგეშისმცემელისადმი, და მის გულის სიღრმიდამ იწყებს ციმციმით დენასა წყარო სასიხარულო გრძობათა, რომელიც მთელ მის არსებაში ვრცელდება, განდევნიან მისგან ქმუნვარების ღრუბლებსა და აძლევენ მას სიმხნეს და სიმაგრეს გარეგან უბედურებათა ატანაში. წაართმევს მას სიკვდილი გულოთად, საყვარელ მეგობარსა, ანუ ნათესავსა?—მაშინაც არ ირღვევა მისი მშვიდობიანობა; ის ზეცას სჭვრეტს ღმერთსა და მის ტახტის მახლობლად ის ხედავს თვისს ძვირფასს მიცვალეზულსა. დიად, მხოლოდ ქრისტესთან ცხოვრებაში იპოება ბედნიერება, ბედნიერება ნამდვილი, წარუვალი, სამარადისო, რადგან უცვალელები და მარადყოფია ის, რომლიდგანაც იგი წარმომდინარეობს. ქრისტესებრივი ცხოვრება, -აი რას უნდა მივაპყრათ ჩვენ ჩვენი სულიერი ძალა! ეს დაუფასებელი საუნჯე ყველასთვის მისაწოამელია. ის მისაწოამელია, როგორც ნათელმოსილ გონების პატრონისთვის და მაღალ განათლებულისთვის, ისე უბრალო უსწავლელ

ადამიანისთვის, ის მისაწთომელია როგორც დიდ სიმდიდრის მფლობელისთვის, ფუფუნებაში და განცხრომაში მცხოვრებისთვის, ისე დაძინილ ტანი-სამოსში გახვეულისთვის და შეძლებულ ოჯახებიდან ქუჩაში გადაყრილ პურის ნატყეხების მქამელისათვის. ის მისაწთომელია როგორც თავისუფალ ადამიანისთვის, ისე მონობის უღელში გაბმულისათვისაც. ის მისაწთომელია როგორც ძალ-ღონით, სიცოცხლით და მშვენიერებით აღსავსე ადამიანისთვის, ისე გარეგან ღირსებათა მოკლებულისთვის.

დასასრული შემდეგში.

მშობლების და აღზრდელების საეურადღე-

ბოდ.


დასასრული *).

აღნიშნოთ სამწუხარო შედეგნი ამ საშინელის სენისა,

თავდაპირველად ეს სენი ძლიერ ცუდად მოქმედებს სულიერ ორგანიზმზე: მცნობელობით, ნებით და მგრძობელობით ნიკთაზედა. ა) ავადმყოფობისებურად განწყობილი ოცნებიანი ადამიანი შექმნის სახეთა და სურათებს, მოქმედებს გონებაში წარმოდგენილ მოქმედებითა და გონების თვალთ სჭვრეტს ეათ; ამ ნაირად ის ერთსა და იმავე ღროს არის მთხველიც, მომქმედიც და მაყურებელიც. ხოლო ასეთი სამნაირი მოქმედება ჰკვეთს და აჩლუნგებს მის ძალთა. ბ) ჩვენ გონებით ძალთა განსავითარებლად საჭიროა, რომ მათ მუდამ გამოუღვევლად ჰქონდესთ შესაფერი საღი საზრდო, რომ ისინი შეუწყვეტილად ძალისა შრომაში იყვენ, რათა ისინი ვარჯიშობდენ და მახვილდებოდენ, - რომ ეს შრომა თან და თან უფრო და უფრო ძნელი გახდეს; და თუ ისინი უშრომლად, გაუნძრევლად დარჩენ, მაშინ ისინი სუსტდებიან და ჩლუნგდებიან. ახლა, რა საღი საზრდო უნდა ექნეს ოცნებიან ადამიანს,

როდესაც იგი სინამდვილისგან ილტვის, გარბის ყოველივე მისგან, რაც ამოქმედებს კაცის ძალთა და ხელს უწყობს მათ განვითარებას? ნუ თუ ამნაირ კეთილ საზრდოდ ჩაითვლება მის განუვითარებელ გონებაში მოგროვილი სახეები? ესენი მას მხოლოდ შეაქცევენ და ასიამოვნებენ და არა ასაზრობდენ მისს სულს, არ შემატებენ მას არასფერს. გ) ოცნებიანს მეტის მეტად ეჯავრება თვის ოცნებათა სამყაროდამ გამოსვლა ცოტა ხნობითაც; და თუ როდისმე გამობრძანდა, სანამ ისევე მასში შებრუნდებოდეს, სწუხს, სული მიუღის. როდესაც მისი ყურადღებას რომელიმე საგანი თვით მიიზიდავს, ანუ სხვები მიაპყრობიბენ მას რამეზედ, მაშინ ის ჩქარობს, როგორმე საქმე მალე გაათაოს, ანუ სრულიდაც არ აბოლოვებს მას. ოცნებიან მოსწავლეს უნდა დაისწავლოს გაკვეთილები; მის წინ ძვეს გადაშლილი წიგნი. ის რაოდენიმე სტრიქონს წაიკითხავს და უცბად ოცნებათა სამყაროში გადახტება; გამოთხიზლდება, მოვა გონს, დაიწყებს წიგნის კითხვას და კიდევ იწყებს ჰაერში ფრენასა. ოცნებიანი კაცი საგნებს და მოვლენათა თვალ ყურს ადევნებს გაკვირით, ოდნავ; ის არ იკვლევს და არ უფიქრდება მათ ღრმად, და ეს მისთვის, რომ უსიამოვნო, საზიზღარ სინამდვილის სამყაროში დიდხანს არ დარჩეს. ის ერთ თვალის დახამხამებაში შემოირბენს რაოდენიმე საგანს. ხშირად სხვა და სხვა გვართა და უკავშიროთა. ამნაირად ოცნებიანს არ შეუძლია დიდხანს დაამყაროს თვისი ყურადღება რომელიმე საგანზე. ხოლო ვიცით, რომ ის შეადგენს უმთავრეს პირობას ყოველივე საქმეში წარმატებისათვის და ნამეტურ კი ის აუცილებლად საჭიროა გონების განვითარებაში, ცოდნათა შეძენის საქმეში. ამ ზემონაჩვენებ მოვლენათა მეოხებით, სახელდობრ: მოშლილ ოცნებობის უზომო და დამამძიმებელ მოქმედებისა გამო, გონების უქნარობისაგამო და ყურადღების მსუბუქ, ზედაპირულ მიქცევისაგამო საგნებისადმი, - ჰკუა, მსჯელობა, მეხსიერება ოცნებიან ადამიანისა მეტის მეტად სუსტდება. მას არ შეუძლია შეადაროს ერთმანერთს საგნები, ვერ ამჩნევს მათ განმასხვავებელ ნიშნებს, ვერ აჩვენებს მათ ნაქეთებს; რისგამო მისნი წარმოდგენანი და შემეცნებიანი არ არიან ნამდვილნი, სავსენი ნათლოვანნი. აზრებს ერთიმეორესთან უსწოროდ აკავშირებს, არა სისწორით სჯის და დასკვნა გამოაყავს; მის აზრებში

* იხილე „მწყემსი“ № 3 1895 წ.



უცხადობა და სიბნელეა, დახლათულება და არეუ-
ლებაა. ამის გამო მისი სიტყვები მოკლებულია
ერთიერთობრივ კავშირსა, შედგომილებას, გარკ-
ვეულებას, სისწორეს და საფუძვლიანობას. არ არის
კარგი გულისყურიანი, მიმხდომიანი; მას უჭირს
აზრების გაგება და შეთვისება. ის ძნელად სჯის
აწყობსა და სუსტად სჭერებს მომავალსა. იმ შემ-
თხვევაში, როცა მას ეჭირება სისწრაფით მოსაზრება,
ის იფანტება; მას არ ძალუძს დაიწყოს და გააგრ-
ძელოს ბაასი; და თუ დაიწყო ლაპარაკი, უსათუოდ
მოუხერხებლად, უმარჯვოთ, უადგილოდ. ოცნე-
ბიანს უჩლუნგდება მესხიერებაცა; მას ეძნელება
რისამე გაგება, უფრო კი დამახსოვნება უძძიმდება.
ის იმეორებს, ზეპირობს და ბოლოს როგორც იქნება
დაიხსომებს; მაგრამ რამოდენიმე საათის შემდეგ
უსათუოდ შეცთომას დაუშვებს, სწორედ ვერ მო-
იგონებს; ხოლო ერთი ორის დღის შემდეგ კი
სულმთლად დაავიწყდება. საწყალი ოცნებიანი მო-
წაფე თავს აკლავს წიგნს, ლექსებს ერთსა და იმავესა,
მაგრამ მაინც ვერ ითვისებს; გადაიკითხავს ათჯერ
მაინც და ცოტა-ოდნად იმაგრებს თავში, მაგრამ
მეორე დღეს მასწავლებელთან მაინც ჩერდება, ეშლება.
ჩვენ ვიცნობთ ერთ ოცნებიანს, რომელიც ოცი
წლის განმავლობაში რუსულ გრამმატიკას კითხუ-
ლობს, მაგრამ მას მაინც არასფერი არ გაეგება მისი.
კიდევ ვიცნობთ ერთ ოცნებიანს, რომელიც შვიდი
წელიწადია რაც ჩასცქერება წმინდანთა ცხოვრებას,
მაგრამ მაინც ვერ გადმოქცემთ დალაგებით ვერც
ერთ წმინდანის ცხოვრებას, თუ გინდ ძალიან შესა-
ნიშნავისას. ეს მოგონებული და გადაქარბებული კი
არა, ნამდვილია. კიდევ ოცნებიანს უხრწნდება
უმალღესი ნიჭი-გონება, ნიჭი ჰერეტისა, ჭეშმარიტე-
ბისა, კეთილისა და მშვენიერებისა; მისი იდეალები
გაცუდებული, დამახინჯებულია. მისთვის უცხო არის
უმალღესი იდეალები, შემცველი საზოგადოებათა და
კაცობრიობისა; მისი აზრები მხოლოდ მის „მე“-ზე
ტრიალებს.

რადგან ავადმყოფობისებურად გაწყობილ ოც-
ნებიანის შინაგანი სამყარო მეტობს გარეგანზე, ესე
იგი, ის უმეტესად ფანტაზიურ სიზმრებშია ჩაფლული
და ნამდვილ მოქმედებას ძალიან ნაკლებად იჩენს,
ამიტომ მისი ნება მეტის-მეტად სუსტია. ის ნების
სიმტკიცე-სიმაგრეს მოკლებულია; მას იმდენი ძალა
არ აქვს, რომ თვისი ყურადღება ერთ საგანზე გააჩე-


როს და განდევნოს გარეშე აზრები, უკუაქციოს
სხვა წარმოდგენანი, სანამ არ განიხილავს და აზრ
გაიციობს იმ საგანსა. მისი ყურადღება გადარბის
ერთ საგნიდგან მეორეზე, მეორიდგან-მესამეზე, ასე
რომ საგანი გამოუკვლეველი და შეუმეცნებელი
რჩება. მას არ აქვს სიმხნე, სითამამე, უკუქცევლობა,
საქმის გატანა, რომ მიზანს მიაღწიოს, სურვილი
განახორციელოს. ცოტაოდენი დაბრკოლება გულის
უყრის მას მოქმედებაზე, განზრახვის ასრულებაზე;
საკმარისია ერთი წარუმართებლობა, მარცხი, რომ
მას საქმეზე გული გაუგრილდეს, და კიდევაც სრუ-
ლიად არ შეუდგება მისი სისრულეში მოყვანას, თუ
ამის სიძნელე წინასწარ დაინახა. ის საშინლად გაუ-
ბედავი, მორცხვი და მხდალია; მას არ ძალუძს
ერთხელვე გადაჭრას, გადაწყვიტოს რამე. განიზრახავს
რომელიმე საქმეს, შეადგენს გეგმას, თუ როგორ
მოიქცეს, მაგრამ როცა უნდა შეუდგეს საქმეს,
მაშინ მას ძალ-ღონე ეკარგება. მაგ. მას უნდა მო-
ელაპარაკოს თავისს უმფროს რომელიმე საქმის შე-
სახებ. ის წინდაწინვე მოითქვრებს, თუ რა და რო-
გორ უთხრას მას, რა უპასუხოს, როგორ დაარ-
ღვიოს მისი საბუთები. მიღის, უმფროსის სახლის
კარებთან, ჩერდება; უნდა ხელი აწთოს და ზარი
ჩამორეკოს, მაგრამ ის ამას ვერ ახერხებს, მას ხელი
უძიგძიგობს და არ ემორჩილება; ის ვერ ბედავს
წარსდგეს უმფროსის წინაშე და შინ ბრუნდება
უმფროსის საბუთების დაუღწევილად. მას არ აქვს
თვით მფლობელობა, არ არის თავის თავის ბატონი,
ის მსხვერპლია ამა თუ იმ სულიერ განწყობილე-
ბისა და გრძნობისა, ესენი მასში მღელვარებენ
მანამდის, სანამ თვითონვე არ დასცხრებიან; მას არ
ძალუძს მათი შეჩერება, შეწყვეტა, მას იმდენი ძალა
არ აქვს, რომ მოაშოროს თვისი ყურადღება იმ
საგნებს, რომლებიც მასში მღელვარე გრძნობებს
აღაგზნებს და სხვა საგნებს მიაპყრას.

მაგრამ ყველაზე უფრო ვნებულია სენად გა-
დაქცეულ ოცნებობიდგან გული. ეს დანარჩენ და-
ლებთან თითქმის ყოველივე კავშირს და დამოკი-
დებულებას სწყვეტს და ხდება ერთად-ერთ მიზეზად
და ხელმძღვანელად მის ცხოვრებაში და იწყებს
უპარმონიულოდ მოქმედებასა. სასტიკნი, მშფოთვარე
გრძნობანი მისი გულის სიღრმიდან გამოხეტქენ შე-
უჩერებელ მღელვარებითა, ერთბაშად გარემოიკვენ
მისს სულს და ხორცსა, აძნელებენ მისს გონებას,

ავიწროებენ და ატყვევებენ მის ნებას, — და ის მარტო გრძნობად გადაიქცევა. მის მგრძნობელობას ჯეროვანი ზომიერება არ აქვს. მისი სიხარულიც უზომო და არა ბუნებრივია, და მწუხარებაც საზღვარს გადასული და არა ბუნებრივია. მასში მომეტებულად იმისთანა გრძნობები ღვივის, რომლებიც მასვე ვნებენ და უწამვლენ სიცოცხლესა. ოცნებიანი ტკილ ოცნებათა სფეროში ნეტარებაა. ყოველნაირი ბედნიერება ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან მის სიახლოვეს იკრიბება; ყოველივეს, რაც კი რამ არის დედამიწაზე გულის დამატკობელი და მომხიბლავი, ის ფლობს; ყოველისფერს ის განაგებს და ბრძანებლობს, ყველა საქმეში ის პირველობს და თაოსნობს; და არასფერი მის ნების წინააღმდეგ არ ხდება. ამნაირი მატუნებელი სურათები მის თავმოყვარეობას დიდ საზრდოს აძლევენ, ეს უზომოდ ძლიერდება. რადგან ის კრიტიკულად არ ეკიდება თვის თავს, არ სჯის თვის ცხოვრებას, რწმუნდება, რომ ის მართლაც დიდი რამ არის და ის ყველას მის ირგვლივ მყოფთ გაცილებით სჯობია. და აი, როცა იგი გამოფხიზლდება და ვინმეებთან რაიმე საქმეს დაიჭერს, მაშინ ამათი საქციელი მისდა მიმართ მის ავადმყოფობისებურად განწყობილ მგრძნობელობის სიმებს უნორმალურად ათრთოლებენ, — და გრძნობა საშინელ უზომო თავმოყვარეობისა უეცრივ აღენთება და იფეთქებს. ეს თავმოყვარეობა ხდება მის ბევრ სხვა ნაკლულევანებათა მიზეზათ. ის მეტისმეტად ფიცხელი და მრისხანია, მას ცოტა რამეც ეწყინება და მოთმინებიდან გამოიყვანს. შემდეგ, ოცნებათა სამყაროში მეოცნებეს ყველასფერი სამსახურს უწევს და ახარებს და ატკობს მის გულს, თვალს, სმენას, ხორცს, ნამდვილად კი იგი სრულიად არ არის ბედნიერი; მის ნებაზე არასფერი არ სრულდება. აქედამ მასში ჩნდება უსიამოვნო გრძნობანი: უკმაყოფილება ცხოვრებისა, სიმძლავილი ადამიანებისადმი, რომლებიც მას აწუხებენ და ჩავგრენ; ის არვის არ ენდობა, ყველას იტყვენულად უყურებს თითქმის არვინ არ უყვარს და არვისთვის სიკეთე არ სურს, რადგან სხვებიც, მისი ფიქრით, მისთვის კარგის მსურველი არ არიან. სწუხს, როცა სხვისი

ქება ესმის, სცდილობს ჩრდილი მიაყენოს ნაქებ პირს და დაამცროს მისი ღირსება. საზოგადოებას განეზოგება, ყველასგან ილტვის, ცხოვრებს განცალკევებული. ის მუდამ მოწყენილი, დაღონებული და უნუგეშოა; წყევლის თვისს მწარე ბედს და ღმერთს ყვედრის.

კიდევ სენად გადაქცეულ ოცნებობას მეტისმეტი ცუდი ზედ-მოქმედება აქვს სხეულზედაც. ოცნებიანი ჯანმრთელობას, სიცხოველეს და ძალას მოკლებულია. მას კეთილმყოფელი დამამშვიდებელი ძილი არ აქვს, ძალიან სურს დაიძინოს, მაგრამ ძილი მისგან გარბის. რადგან ის ნაცნობებთან დროს გატარებას ერიდება, ჩაკეტილში ცხოვრებს, ერთ ადგილს მიკრულია, ნაკლები მოძრაობა აქვს, ამის გამო მას სხვა და სხვა სწეულება უჩნდება, მაგ. ფილტვებისა, სტომაქისა; უფრო კი მას თავის ტკივილი აწუხებს და მისის ტვინის ნერვები ნამეტან დაჭიმვას ვერ იტანს და იშლება. აი სანამდის მიყავს ადამიანი ავადმყოფობად გადაქცეულ ოცნებობას, აი ის უფსკრული, რომლის წინ დგება ოცნებიანი. ვინ არ შეკრთება და არ შეძრწუნდება ამ სატირელ შედეგთა წარმოდგენაზე. ზემონაჩვენები ოცნებობა ადამიანს ბავშობაშივე უჩნდება. ბავშვს გარდამეტებული მიდრეკილება ოცნებობისადმი ან თან დაჰყვება, ან გარემოებანი მის ცხოვრებისა ბადებენ მას მასში. მაგ. თუ ბავშვი მოძულეებულია დედამისიგან, აკლებენ მას აღერს და არ ახალისებენ, ანუ იგი აღრევე დაობლდა და არ ჰყავს გამამხიარულებელი, გამართობელი, მაშინ ას სინამდვილეს შორდება და მისწრაფის ოცნებათა სამყაროში, სადაც იგი ვითომც პოულობს იმ სიტკობებას, რომელსაც სინამდვილეში მოკლებულია. ოცნებიანი ბავშვი განირჩევა სიმცონარით, შეუძვრელობითა, მას არ უყვარს გართობა, ცელქობა; ბავშვების თამაშობაში მონაწილეობას არ იღებს, ერიდება თვისს ტოლებს, განსაკუთრებით იმისთანებს, რომლებიც მას სჯობნიან ღონით, სილამაზით, გულისყურით; თავი მოაქვს ჰასაკოვან კაცად; უყვარს ლაპარაკი დიდებთან, ნამეტურ იმისთანებთან, რომლებიც მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ, მაგ. მოსამსახურე ბიჭებთან;




უყვარს მარტოობა და ამ მარტოობაში არასფერ სერიოზულ და გამოსადეგს არ აკეთებს, მხოლოდ თავს იქცევს ოცნებობით; მეტის-მეტად მორცხვი და გონება დაბნეულია; თუ მოულოდნელად დაე-
ლაპარაკე, მაშინ ის კრთება, წითლდება. ოცნებო-
ბა ძლიერდება სიყმაწვილეში, იმ დროს, როცა სუ-
ლის ძალნი უნდა გაიშალონ, და საუბედუროდ ხელს უშლის მათ გაფურჩქვნას და ხრწნის მათ.
თუ აღამიანმა პირველ ყმაწვილობაშივე არ შეიგნო
ამ სულიერ სენის დამლუპველობა, არ შეებრძოლა
მას, მაშინ საქმე ძლიერ ცუდად იქნება, ეს სენი
სულ ერთიანად დაიმონებს მას და სამუდამოდ მო-
უშხამავს მას სიცოცხლეს. თუმცა ეს სენი ხნიერ
კაცში ისე ძლიერად არ ცხადდება როგორც ყმაწ-
ვილობაში, გარნა მაინც რჩება მასში და ნელ-ნელა
ღრღნის მის სულს და აბრკოლებს მას ყოველივე
საქმეში.

მშობელნო! თუ თქვენ თქვენის შვილებისათვის
სიკეთე გსურთ, ადრევე შეიტყეთ, აქვთ მათ მიდ-
რეკილება ავადმყოფობისებურ ოცნებობისადმი, თუ
არა; თუ შეამჩნიოთ, მაშინათვე იხმარეთ ყოველივე
ლონისძიება მის მოსასპობად; მოაშორეთ იგი ყოვე-
ლივე მას, რაც კი ოცნებობას ასაზრდოებს, გაარ-
თვეთ იგი საზოგადოებაში, შეაჩვიეთ ამხანაგებთან
დროს გატარებას, შეაქციეთ იგი რითიმე.

ეს სნეულება ღუპავს ბევრ იმისთანა მოწაფეთ
რომლებსაც დიდი წარმატება ექნებოდათ სწავლაში,
რომ მათში ოცნებობას არ დაესადგურა; მაგრამ ეს
სნეულება მათ განვითარებას უშლის, ამხანაგებში
აქვეითებს და სულ მთლად აჩლოუნებს მათ გონებას.
ამიტომ ამ საშინელ სენს მასწავლებლებმა და
აღმზრდევებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა
მიაქციონ და გამოიძიონ, არის ვინმე მათ მოსწავ-
ლეთაგანი შეპყრობილი ამ სენით თუ არა.

მ. კაჭახიძე.



შიმშილობა ინდოეთში.

დიდი შიმშილობაა ინდოეთში. მთელს ევრო-
პაში არა დროს არ ყოფილა ისეთი შიმშილობა,
როგორც დღეს ინდოეთშია. ოფიციალურ ცნო-
ბებიდამა ჩანს, რომ ბენგალიასა და ბიგარაში 1770
წელს შიმშილისაგან დაიხოცა მკვიდრთა მესამედი
ნაწილი-18 მილიონამდე კაცი. ამ შიმშილობის
აღწერილობა თავზარსა სცემს კაცს და თუმცა მთავ-
რობა ყველგან დიდ ზომებს ხმარობდა, მაგრამ მაინც
ვერ დაიფარა ხალხი ამ უბედურებისაგან. უწინდელს
დროებში, მართალია, დრო და დრო შიმშილობა
იყო ხოლმე ინდოეთის სხვა და სხვა ადგილებში და
ამ შიმშილობის მიზეზი ყოველთვის დიდი გვალვები
და დიდი ხნის უწვიმობა იყო ხოლმე.

იმ შიმშილობის შესახებ, რომელიც იყო
ხოლმე ინდოეთში, სანამ ამ მხარეს ინგლისელები
დაიფლობდნენ, ძლიერ ცოტა ცნობებია შენახული.
ზოგიერთი მაშინდელი შიმშილობა უფროა ჩხუბების
შედგევი იყო ხოლმე ვინემ გვალვა-უწვიმობისა. იმ
შიმშილობის შესახებ, რომელიც იყო ინდოეთის იმ
ადგილებში, რომელსაც განაგებდნენ მბრიტანიის რწმუ-
ნებულნი მეუფროსენი, ძლიერ ცოტა ცნობებია
დარჩენილი; ამ ცნობებიდგან კაცი ვერ შეიტყობს,
თუ რამდენათ ძლიერი იყო შიმშილობა. იმ საში-
ნელი შიმშილობის შემდეგ, რომელიც იყო ბენგა-
ლიასა და ბიგარაში 1770 წელს, საშინელი შიმ-
შილობა, გაჩნდა ზემო ინდოეთში 1784 წ. და თან
და თან გაძლიერდა, მაგრამ ამ დროს ეს მხარე
ინგლისელების ხელში არ ყოფილა, და ამიტომ არც
ნამდვილი ცნობებია, თუ რამ გამოიწვია ეს შიმში-
ლობა. შემდეგში შიმშილობა თან და თანობით
ჩნდებოდა მადრასში, ბობეიაში, და გაიდერბადში.
მთავრობა ამ შიმშილობის მოსასპობლად მკვიდრთ
უმცირებდა გადასახადს, სესხს აძლევდა მიწის მკვატ-
რანეთ და საჩუქარს უნიშნავდა პურის შემომტანთ.

1806 და 1807 წ. შიმშილობა გაჩნდა მადრა-
სის მახლობელ ყველა ოლქებში და განსაკუთრებით
იმ მაზრაში, რომელსაც კახნატის ეძახიან. ამ შიმ-
შილობის შესახებ ნამდვილი და სწორი ცნობაა
შენახული, რომელთაგან ცხადათა ჩანს, თუ რა ცუდი
შედგევი ჰქონდა მას. შიმშილისაგან დაუძლოურებუ-
ლი ხალხის ვებერთელა გროვები მიეშურებოდნენ

ქ. მადრასში, სადაც მრავალი საქველ-მოქმედო საზოგადოებანი იყო დაარსებული და დამშეულ ხალხს მუქდად ხელს უმართავდნენ. ამ დროს ქალაქში დიდი დავა და უთანხმოება იყო გამართული შესახებ მისსა, თუ რა შემწეობა უნდა აღმოეჩინათ დამშეულთათვის; ზოგნი ფიქრობდნენ საზოგადო სამუშაოების გამართვას, სადაც უნდა ემუშავნა თითოეულ დამშეულს არა სხვაგვართან ერთად, არამედ მის კერძო ბინაზე, სხვანი ამტკიცებდნენ, რომ თვითონ მთავრობამ უნდა მოიტანოს პურიო; მაგრამ საქონლის საშინელომა ჭირმა ხელი შეუშალა ამ საქმეს. მთავრობამ არ მიიღო თავის თავზე პურის ყიდვა და შემოტანა, რომ ამით ხელი არ შეეშალა კერძო პირთათვის პურის ვაჭრობის საქმეში. მზგავსად ქ. მადრასისა მოიქცა ბომბეის მთავრობა 1812 და 1813 წლებში, როდესაც საშინელი შიმშილობა გაჩნდა დიდი გვალვებისა გამო გუზერატში და მის მახლობლად მდებარე მიდამოებში. 1833 წელს მადრასის მთელს მაზრას მოედვა სასტიკი შიმშილობა, განსაკუთრებით განტურის მაზრას, სადაც ისე ბლომათ იხოცებოდა ხალხი, რომ ამ შიმშილობას სახელად „განტურსკი“ დაარქვეს. ამ შიმშილობის დროს მარტო განტურში 500,000 მკვიდრთაგან 200,000 კაცი დაიხოცა.

1837 წელში იყო პირველი და მეტად სასტიკი შიმშილობა ზემო ინდოეთში. მან აღაოხრა მთელი ქვეყანა ალიოგაბადსა და დეობის შორის. შიმშილი გავრცელდა 113,000 ინგ. ოთხ-კუთხი მილის სიგრძეზე, აქედან 56,000 ოთხ-კუთხი მილი იყო ინგლისელების მფლობელობაში. ამ შიმშილობის მიზეზი იყო ძლიერი გვალვა 1836 წ. მთავრობამ აღრვევ შეიმუშავა სხვა და სხვა წესები შესახებ მისა, თუ რა შემწეობა უნდა აღმოეჩინა დამშეულთათვის. მთავრობამ დაადგინა, რომ სამუშაო გავჩინა მათთვის, რომელთაც მუშაობა შეეძლოთ, ხოლო მუშაობის არა შემძლე პირთათვის საქველ-მოქმედო საზოგადოებათ უნდა აღმოეჩინათ შემწეობა. ყველგან, სადაც კი ბლომად იყვნენ პირნი, რომელთაც მუშაობა სურდათ, იმართებოდა საზოგადო სამუშაოები მკირე საფასით. გასავალს საზღვარი არა ჰქონდა, ამავე დროს დაარსდნენ კამიტეტები, რომელნიც ჰკრებდნენ შეწირულებას იმ პირთათვის, რომელთაც მუშაობა არ შეეძლოთ. ზოგს სრულებით ანთავისუფლებდნენ გადასახადისგან და ზოგს ადროეს გა-


დასახადის შეტანა. ასე რომ ნაპატეები გადასახადის რაოდენობა 47 1/2 მილიონ მანეთამდე იყიდა. ამავე დროს იმ ადგილებიდან, რომელთაც ინდოელები განაგებდნენ, ხალხმა იწყო გადასახლება აგრაში. საზოგადო სამუშაოზე 100,000 კაცი მუშაობდა, რომელთაც დაურიგდათ თუთხმეტ მილიონ მანეთამდე. ამ ფულებში ორ მილიონამდე კეთილ-მნებელ შემწირველთაგან შემოვიდა. ამ შიმშილობამ იმსხვერპლა 800,000 კაცი. ამ შიმშილობის უბედურება დღესაც არ დავიწყებია ხალხს

ამ შიმშილობის შემდეგ დიდი შიმშილობა იყო ჩრდილოეთ ბენგალიაში 1873 წელს. შიმშილობა გავრცელდა 40 ათასი ოთხ-კუთხი მილის მანძილზე, რომელზედაც ესახლა 17 მილიონი მკვიდრი, რომელთაგან 735,000 კაცი საზოგადო სამუშაოზე მუშაობდა ცხრა თვის განმავლობაში, 450,000 კაცი ყოველ დღე მუქთ შემწეობას იღებდა ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო 3, 200,000 კაცმა მიიღო სესხად პური და ფული. დამშეულთა შესაწევრად მიახლოებით დაიხარჯა 6 1/2 მილლ. სტერლინგი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც დაიხარჯა ყველა იმ შიმშილობის დროს ინდოეთის ყველა მაზრებში ამ მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან 1873 წლამდე. მაგრამ ამ შემწეობას არ გაურყენია ხალხი, არამედ დაიფარა იგი. შემდეგში ხალხმა ჩვეულებრივად მოჰკიდა ხელი თავიანთ ოჯახურ საქმეებს. უხვი შემწეობის წყალობით ბენგალიაში ერთი კაციც არ მომკვდარა შიმშილისაგან.



შ ა ვ ი ჭ ი რ ი

ამ ბოლოს დროს ბევრს დაჰარაკობენ შავის ჭირის შესახებ და ზოგი მეცნიერი ერთობ საიმედო და სანუგეშო ცნობებს გვაუწყებს. მაგალითად, ღონდონის გამოჩენილმა ექიმმა ჰატრიკ მანსონმა, რომელსაც სპეციალურად შეუსწავლია შავის ჭირის საქმე და ავტორიტეტად ითვლება ამ საქმეში, ის აზრი გამოსთქვა თურმე, რომ ეს სენი ინგლისში ფეხს ვერ მოიკიდებს, რადგანაც აქ ძლიერ სუფთად სუბოვრობენო.



საოფლე უფრო ადვილად გადაედება ხოლმე კაცს, ვიდრე შავი ჭირი, მაგრამ საოფლე ინგლისში ერთობ იშვიათი მოვლენაა და თვით ღონღონში თითქმის სულაც არ სჩნდება ეს სენიო. კონსტანტინეპოლსა და იტალიის ხმირად დასახლებულ უბნებში ძლიერ გავრცელებია, უთქვამს მანსონს. შავმა ჭირმა 70,000 კაცი იმსხვერპლა კანტონში, როდესაც მძვინვარებდა იმ ქალაქში. ინგლისის ახალშენებში-კი, თუმცა ამ კანტონის შუაგულშია იგი, წრთი კაციც არ გამხდარა ამ სენით ავადო. ირგვლივ მცხოვრებლებს მუსრს ავლებდა გამძინვარებულ სენი და ინგლისის ახალშენი-კი მხოლოდ უშიშარი მოწამე იყო ამ საშინელის სურათისა. რა იყო ამის მიზეზი? რა თქმა უნდა საუკეთესო ჰიგიენური გარემოებანი და სამაგალითო სისუფთავეო. იმ ექიმთაგან, რომელიც ინდოეთში იყო გაგზავნილი შავ ჭირთან საბრძოლველად, არც ერთი არ გამხდარა ავად ამ სენით. შავი ჭირით ავადყოფთაგან 90-95% ჰკვდება ხოლმე. ამ მხრით უფრო საშიშია ხოლმე ცოფი. პატივცემული ექიმი ამბობს, რომ შავი ჭირი ადამიანზედ უფრო ხშირად ცხოველებს ემართებაო; განსაკუთრებით ვირ-თაგვების ძლიერ დიდი მტერია. შავი ჭირით ავად გამხდარი ვირ-თაგვები სოროებიდგან ამოდინ და სახლებში დარბიანო. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უფრო ხელს უწყობს შავის ჭირის გავრცელებას და ამიტომ კარგია, რომ ვირ-თაგვები ამოიყლიტოსო. ბომბეაში ვირ-თაგვები რომ გაეწვიტათ, უფრო ადვილად შეიძლებდნენ შავის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლასო.

შავის ჭირის წინააღმდეგ უმაღლესად დამტკიცებულ გამისიას შემდეგი ცნობები მიუღია: მთავარ კონსულმა ხორასანიდგან დეპეშით შეატყობინა გახპის ზღვის იქითა ოღუქების უფროსს, რომ დეკემბრის თვეში ყანდაგარში შავის ჭირით რამდენიმე ავღანისტანიდგან ჩამოსული ინდოელი გარდაიცვალაო. ამიტომ გენერალ-ლეიტენანტმა კუროპატკინმა მაშინვე განკარგულება გასცა ავღანისტანის საზღვარზედ ჯარები დააყენეთ და იქიდან საქონლის მიტა-

ნისა და მგზავრების მისვლის ნება მხოლოდ ტახტაბაზარამდე მიეცითო, რადგანაც საქ. ექიმები სასტიკის უკრადღებით ათვალიერებენ ხოლმე მოგზაურებსო.

ამავე მიზეზით თურქისტანის გენერალ-გუბერნატორმაც სასტიკი ბრძანება გასცა: ბუნარიისა და ავღანისტანის საზღვრები შეუვალი გაჰნადეთო.

ამის შემდეგ მიიღეს ცნობები, რომ სპარსეთის მთავრობამ სპარსეთისა და ავღანისტანის შორის უოველგვარი მისვლა-მოსვლა ადგრძალაო. ავღანისტანის მთავრობამაც თავისის მხრით შესწავიტა ინდოეთთან მისვლა-მოსვლა და შეშაურისა და კვეტის გზებზე დარაჯები დააყენა. ავღანისტანის სხვა ალაგებში, ყანდაგარის გარდა, ჯერ ერთი შემთხვევაც არ უოფილა შავის ჭირით ავად გახდომისა.

24-სა და 28 იანვარს უმაღლესად დამტკიცებულმა კამისამ, მოიწონა რა ის ღონისძიებანი, რომელიც 1893 და 1894 წ. უმაღლესად დამტკიცებულის წესის თანახმად, უკვე მიღებულა, საჭიროდ დაინახა კიდევ შემდეგ საშუალებათა მიღება:

- 1) გაიგზავნოს ინდოეთში სპეციალურად მცოდნე ექიმება, რათა თითონ ამ შავის ჭირის სამშობლოში შეისწავლონ ეს სენი.
- 2) აგრძალულ იქმნას მიმდინარე წელს რუსეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანთა მექასა და სხვა წმიდა ადგილებში სალოცავად წასვლა-მოსვლა. ადგრძალოს აგრეთვე ქრისტიანებს აღმოსავლეთის წმიდა ადგილებში სალოცავად წასვლა.
- 3) მიღებულ იქმნას საშუალებანი, რათა რაც შეიძლება მეტი მომზადდეს შავის ჭირის საწინააღმდეგო წამალი— შეედებულ სისხლი.
- 4) გაიგზავნოს უფრო საშიშს ადგილებში კამისიის მიერ კერძოდ ამისთვის დავალებულნი კაცნი, რომელთაც ხელქვეითად თან ეყოლებათ ექიმები, აფიცრები და სამოქალაქო მოხელენი; ესენი უნდა დაეზმარნენ ადგილობრივს მთავრობას, რათა სრულიად და სავსებით იქმნას მიღებული კამისიის მიერ შემუშავებულნი ღონისძიებანი.

5) გამოცხადებულ იქმნას „მთავრობის მო-
ამბეა“-ში ნამდვილი ცნობები შავს-ჭირის გავრ-
ცელებისა კამისიის მოქმედების შესახებ და სწ.
როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, მთავ-
რობას თავისს დროზედ მიუღია საჭირო ღო-
ნისძიებანი ამ საშინელის სენის შემოტანის წი-
ნადმდე და იმედიც უნდა გვქონდეს, რომ ეს
მეცადინეობა თავისს მიზანს მიაღწევს.

«ივერია».

ახალი ამბები და შენიშვნები.

ყველგან ფიცხელი განკარგულებაა მოხდენილი,
რომ ინდოეთიდან ჟამი (შავიჭირი) არ იქნეს შემო-
ტანილი ჩვენში. 21 თებერვალს ქ. ქუთაისში ექი-
მებს კრება ჰქონდათ. ამ კრებაზე წაუკითხეს ექიმთა
კამისიისაგან შედგენილი საჭირო დარიგებანი, თუ
რა ზომა უნდა იხმაროს ხალხმა ამ საშინელ სენის
გაჩენამდე და გაჩენის შემდეგ. კრებამ საჭიროდ და-
ინახა ამ დარიგებათა ხელმეორედ გადახედვა და შემ-
დეგ დაბეჭდვა ხალხში დასარიგებლად. გუბერნიის
ექიმმა განაცხადა, რომ ამ დარიგებათა დასაბეჭდავად
ფულებია საჭირო და ჩვენ ეს ფულები არა გვაქსო-
ა. მაზე იქვე მყოფმა დეკ. დ. ლამბაშიძემ განაცხადა,
რომ იგი თავის ხარჯით კისრულობს ამ დარიგებათა
დაბეჭდვას და ხალხში გავრცელებას. ხსენებული
დარიგება ძლიერ კარგად და გასაგებად არის შედ-
გენილი და ფრიად საჭიროა ხალხმა შეიგნოს სიწმი-
დის საჭიროება, ჟამსაც რომ არ მოველოდეთ. ამ
კრებას დიდი საზოგადოება დაესწრო. მაყურებლე-
ბით სრულიად სავე იყო ვებერთელა დარბაზი ბ.
ს. ბ. თოფურის საავადმყოფოისა. ჩვენის აზრით
ხალხს ძლიერ სასიამოვნოდ დაუჩრჩება, თუ ჩვენ
ექიმები ლექციებს წაუკითხვენ ხოლმე მათ ჯან-
მრთელობის შესახებ.

* * *

დ. ყვირილაში (შორაპნის მაზრაშია) შედგა კა-
მისია, რომელსაც მიზნად აქვს მიიღოს ყოველგვარი
ზომები, რომ ყველა დაზებში და სოფლებში ფიც-

ხელი ყურადღება მიექცეს სისუფთავეს. ს. ჭიათუ-
რაში მთავრობის ბრძანებით ამ კამისიას დავალებუ-
ლი აქვს, რომ საავადმყოფო დაარსოს შავი ქვის
მწარმოებელთა ხარჯით, რომ, თუ ვინიცობაა ჟამით
ვინმე გახდა ავად, ამ საავადმყოფოში დააწვიონ.
ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან შევიტყუეთ, რომ შავი
ქვის გამგზავნელთ დიდის ხნიდან უხდიათ ფუთზე
ნახევარი კაპ., რომ ამ ფულებით, სხვათა შორის,
დაეარსებიათ ს. ჭიათურაში საავადმყოფო და მოე-
წვიათ ექიმიც. ამ მიზნით შეკრებილი ფული თურმე
150,000 მანეთამდეა. სწორედ დრო არის, რომ ეს
ფულები მოიხმარონ დანიშნულებისამებრ.

* * *


ყვირილის ხიდის კეთება უკვე თავდება. მარ-
თალია რკინის ხიდს ხის ხალი გადააბეს, მაგრამ
ძლიერ მაგარი არის და ბურჯიც სწორედ საიმედო
აქვს. ქვეითი სასიარულო ხიდი, დეკ. დ. ლამბაშიძი-
საგან გაკეთებული, მოშალეს. ამ ხიდის წყალობით
რამდენიმე ათასი მან. შერჩა ხალხს, მაგრამ მის გამ-
კეთებელს ჯერეთ კიდევ არა მიუღია რა არავისა-
გან.

* * *

თებერვლის 23, დღით კვირას აკურთხეს საქა-
რის სანერგისათვის ახლად აგებული მშვენიერი
შენობები. შენობათა კურთხევა შესრულა ნათლის
მცემლის ეკლესიის წინამძღვარმა დეკ. დ. ლამბაში-
ძემ. კურთხევაზე დაესწრნენ: მიწად-მოქმედობის მი-
ნისტრის რწმუნებული ბ. მეღვედვი, კანტროლის
პალატის გამგე ბ. ბუტირკინი, სასოფლო მეურნეო-
ბის ინსპექტორი ბ. გევესკი, ქუთაისის გუბერნიის
სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი ბ.
ზელენინი, შორაპნის მაზრის უფროსი სტატსკი სო-
ვეტნიკი ლ. ტ. ჯაყელი და სხვანი.

* * *

მადლობა ღმერთს, რომ ჟამის აცრა გამოიგო-
ნეს! გაზეთები გვაცნობებს, რომ 3300 აკრილებში
მარტო ორს შეექნა ჟამი და ისინიც ცოცხლები
არინაო.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე

სამ მოძღვრისა სამღვთოსადმი.

საუბარი მორაე

ეკრძალენით თავთა თქვენთა, ნუ უკვე მეყსეულად მოიწიოს თქვენ ზედა დღე იგი (ლუკ. 21, 34).

(გაგრძქვება *).


ის საშინელი ცვლილება ქვეყნიერების ყველა ნაწილისა, რომელიც მომასწავებელი იქნება მისი დაშლისა და რომელიც თავზარს დასცემს დედამიწაზე მცხოვრებ ხალხს, უნდა გამოგოგოცდეთ, ჩემნო ძმანო საყვარელონო, რომ ჩემთვის იგი სრულებით საზარელი და საშიშარი არ არის. იესო ქრისტე, რომელიც დიდხანს შეუნიშნავად ითმენდა კაცთა ცოდვებს, უეცრად მოგა განსჯად კაცთა და სამაგიეროს მიაგებს მტერთა თვისთა, - აი რა მაშინებს მე! მე იმიტომ ვიშიშვი, რომ ქვეყნის დასასრული იქნება იესო ქრისტეს მოსვლისათნავე: როგორც კი დავხუჭავ თვალებს, მზე და მთვარე დაბნელდება ჩემთვის, ჩემი სხეული, ბუდე ცოდვათა დაიშლება, და იქცევა მიწად. სხეულის განშორების შემდეგ სული წარსდგება თავისი მსაჯულის წინაშე, რათა მოისმინოს კურთხევა ანუ წყევლა, რომელზედაც დამოკიდებულია ცხოვნება ანუ წაწყმედა ჩემი. მე ის მაშინებს, რომ ეს საშინელი მსაჯული ჩემ კარებს უკანა დგას, რომ მას შეეუძლია მაშინ შემოვიდეს ჩემთან, როცა მე იმაზე სრულებით არა ვფიქრობ

და ამ სახით ეს ღამე შეიძლება შეიქნეს ჩემთვის განსჯის დღედ და ქვეყნის დასასრულად. მაგრამ რა სასარგებლოა შიში, თუ იგი კკუას არ გვასწავლის და ცხოვნების საქმეზე არ გვაფუქრებს? როცა ჩვენ რაიმე დიდი უბედურება მოგველის, ყოველივე საშუალებას ვხმარობთ, რომ ეს უბედურება თავიდან ავიცილოთ. ხოლო არის თუ არა საშუალება, რომ ღვთის მსჯავრი თავიდან ავიცილოთ? დიახ; არის. წმიდა მოციქული გვარწმუნებს ჩვენ, რომ თუ ჩვენვე განვიკითხავთ ჩვენს თავს, მაშინ არც ჩვენ ვიქმნებით განკითხულ (ა. კორინთ. 11,732). ამ გვარად თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მისცეს თავის-თავს ანგარიში, რომელიც მან უნდა წარუდგინოს ღმერთს და მერე უნდა წარმოსთქვას თავის-თავზე განაჩენი უწინარეს, ვინემ ამ განაჩენს წარმოსთქვამდეს მასზე თვით იესო ქრისტე.

I.

როცა რომელიმე კაცი ვალდებულია ანგარიში მისცეს მეორე კაცს, იგი პირველად თავის თავს აძლევს ანგარიშს. იგი შედის თავის ოთახში, ჰკეტავს კარებს, მიუჯდება სტოლს, ძებნის ქალაღდებს, თავს უყრის ბარათებს, ანგარიშობს, წინდაწინვე იღვენს თვალის წინ ზოგიერთ საეკვო კითხვებს, ამზადებს მათზე პასუხს, ყოველივე წესიერებაში მოჰყავს და შემდეგ მოსვენებულათ არის: ეხლა ყოველივე სწორია, ჩემი ანგარიში მზათაა; როცა მინდა, მაშინ მივსცემ, ვინც კი მომთხოვს ამ ანგარიშს. მზგავსადვე უნდა მოიქცეს კეთილ გონიერი კაცი თავისი სინდისის შესახებაც, რომ უფლის განსჯის დღე მას მოულოდნელად არ მიადგეს კარზე. გამიგონე მე, წინდაწინვე მოამზადე შენი ანგარიშები; შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარები, ესე იგი ჩაიხედე შენს გულში, ცოტა ხნობით დახუჭე თვალები, რომ ამა ქვეყნის საქმეებმა არ გაგიტაცოს, მოიკრიბე შენი აზრი და გონება, გამოსცადე შენი სინდისი, მოიგონე ყველა წლები შენი სიცოცხლისა, გამოიკვლიე შენი მოქმედებანი, ყოველიფერში ანგარიში მიეცი შენს თავს, ამიტომ გახსოვდეს, რომ შენ ანგარიშს მისცემ იესო ქრისტეს, როგორც მონა თავის ბატონს. ბატონი იძლევა ბრძანებას, მონამ უნდა აღასრულოს; ეს მორჩილება იმაში მდგომარეობს, რომ მონამ ის აღასრულოს, რასაც უბრძანებენ და მოერიდოს მას, რასაც უკრძალვენ. ამიტომ გამოს-

იხ. „მწყემსი“ № 3, 1897 წ.




ცადე და განიხილე, თუ რა აღგიკრძალა შენ ქრისტიანად და შენ როგორ მოიქეცი; რა გიბრძანა შენ ქრისტიანად და რა არ აგისრულებია, ან აღასრულე, მაგრამ ცუდათ.

პირველად თვალი გადაავლე შენი ახალ-გაზრდობის წლებს; გაარჩიე და დაითვალე შენი უქკუობა, ჯინიანობა, არა წყნარი მხედველობა, სამარცხვინო აზრები, უწმინდური სურვილი, თავაშვებული ლაპარაკი, საექვო მისვლა-მოსვლა, სამარცხვინო ლექსები. ამ წლოვანებაში უფრო მომეტებულ კეთილ საქმეებს უნდა ჩადიოდეს კაცი, რადგან ეს დრო შეადგენს ცხოვრების საუკეთესო ხანას, მაგრამ ამ შევნიერ დროს ანდომებენ არარაობას და გაფანტულობას. ამ ახალ გაზრდობაში შენ მიერ ჩადენილ ცუდ საქმეებს დაუმატე შენი უხასიათობა, მწუხარება, სიბრაზე ანუ გულ მოსულობა, ყოველივე შეწუხება, რომელიც შენ მიაყენე შენს მეუღლეს, შენ შენს ცოლს, ყველა ცუდი მავალითები, რომელიც თქვენ უჩვენეთ თქვენს შვილებს, თქვენს სახლში მყოფთ. გაარჩიე და ჩამოთვალე შენი უსამართლოება, მოტყუება, უკანონო სარგებელი, ძარცვა-გლეჯა, რომელიც შენ ჩაიდინე შენს მუშაობასა და ვაჭრობაში. გაარჩიე და ჩამოთვალე შენი ცუდი სიტყვები, ცრუ ლაპარაკი, უაზრო მსჯელობა, ცილის წამება, მტერობა, შურის ძიება, და ყველა წყეული ნაყოფი სხვა და სხვა ვნებათა, რომელთა შენ ემსახურებოდი მონასავით. შეიძლება შენ თავისუფალი ხარ ყოველივე უსჯულოებისაგან, რომელიც წინააღმდეგი არის ღვთის სჯულისა, მაგრამ ამისათვის შენ განმართლებულ არ იქნები, თუ ამასთანავე არ გიქნია კეთილი საქმეები, რომელთა აღსრულებას გვიწერს მცნება ღვთისა. შეიძლება შენ არ შეგიგინებია ღმერთი ფიცით და გმობით, მაგრამ გიდიდება თუ არა ღმერთი? კრძალულებით იქცეოდი თუ არა ღვთის წინაშე და მადლობდი მას თუ არა? იქცეოდი თუ არა ღვთის სასიამოვნოდ? არ გიმუშავია კვირა დღეს, ნაცვლად იმისა, რომ ამ დღეს გედიდება ღმერთი? არ ახმარდი დროს ცუდ საქმეებს? შეიძლება, შენ არ მოგიტაცია სხვისი ქონება, მაგრამ შენ ქონებას რიგიანად ხმარობდი? შენ, მართალია, არ შეგიბღალავს მოყვასის პატიოსნება, მაგრამ დაიცევ თუ არა იგი, როცა სხვანი შენ თანადასწრებით შეურაცხებდნენ ამ პატიოსნებას? გამოიკვლიე ყოველივე ეს და გახსოვდეს, რომ ჯო-

ჯობეთში არიან ქრისტიანები, რომელთაც ქვეყნად ცხოვრების დროს არც კეთილი უქნიათ და არც ბოროტი; არც კეთილი საქმე ჩაუდენიათ და არც ბოროტი; იქ არიან ისეთებიც კი, რომელნიც შვრებოდნენ კეთილ საქმეებს, მაგრამ განკითხულ იქნენ იმიტომ, რომ ამ კეთილ საქმეებს ცუდათ ჩადიოდნენ.

მართლაც, რას მომეხმარება მე ლოცვა, მოწყალება, ზიარება და სხვანი, თუ ყოველივე ამებს ვასრულებ ურიგოდ? ჩამოთვალე ის ლოცვები, რომელნიც შენ წაგიკითხავს უყურადღებოდ, ზიარება, რომელიც მოუმზადებლად მიგიღია, მოწყალება, რომელიც შენ ჩაგიდენია შენი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. რაც უნდა კეთილი საქმე ჰქნა, საკმაო არ არის, უსარგებლოა; დასაშუქრებულ არ იქნება, თუ შენ ყოველივე ამებს ჩადიოდი შენი სურვილით და მონდომილებით და სრულებით სახეში ის არ ჰქონებია, რომ გესიამოვნებია ღვთისათვის, მოგეპოვებია მისი მადლი და დაგეფარა შენი ცოდვები, მოგეპოვებია ნეტარება და აცდენოდი ჯოჯოხეთს. ამაზე მომეტებულს გეტყვი: შენ დასჯილ იქნები, თუ კეთილ საქმეებს ჩადიოდი შენ შენი თავის დიდებისა და წამხდარი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

ესეთი ანგარიში, ძმანო ჩემო საყვარელნო, თქვენ გაშინებთ. ეს გასაკვირველი არ არის. მეც მზგავსად თქვენდა ვიშიში. მე ჯერ კიდევ ყველაფერი არ მითქვამს. სასუფეველი ღვთისა ემზგავსება კაცს, რომელიც, წავიდა რა სხვა ქვეყანაში, დაურიგა თავისს მოსამსახურეებს რამდენიმე ვერცლი, რომ მათ ესარგებლებიათ ეს ვერცხლი და როცა მოვიდოდა ბატონი, ანგარიში მიეცათ მისთვის, თუ რა სარგებელი მოიტანა მისგან დატოვებულმა ვერცხლმა. ამას ამბობს იესო ქრისტე და ამბობს თვით თავის თავზე. მოსამსახურენი არიან ხალხი; ვერცხლი, სასარგებლოდ გაცემული, არის მადლი ღვთისა, რომელიც მიგვიღია. როგორ ვისარგებლეთ ამ მადლით? მე არ ვიხსენიებ იმას, რომ ჩვენ დავიბადეთ და აღვიზარდეთ თანახმად ეკლესიისა და ბევრი ვერ ეღირსა ღვთის ამ დიდ მოწყალებას, თუმცა ისინი, შეიძლება, უფრო მოიხმარდნენ ამ მადლს. მე ვამბობ ღვთის მადლის კერძო ნიჭებზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანზე გადმოდის. გაარჩიე, საყვარელო შვილო ჩემო, და ჩამოთვალე ის კეთი-



ლი აზრები, რომელიც შენ უყურადღებოდ დააგდე, კეთილი სურვილი, რომელთა შენ წინააღმდეგ, სინდისის წერტა, რომელიც შენ დახშე! ხან ღვთის გამგეობას მიჰყავდი შენ ქადაგებაზე, რომელიც ტყუილად იყო შენთვის შედგენილი; ხან ღვთის გამგეობა გაწვდიდა ხელში წიგნს, რომელსაც შეეძლო მოეღბო შენი გაბოროტებული სული; ერთ დროს შენ გეწია უბედურება, რომელიც მოგივილინა თვით ღმერთმა, რომ შენ გონზე მოსულიყავი და დაგეტოვებია შენი ცული ცხოვრება; მეორედ შენ ავად გახდი, რომლის დროს შენში დაიბადა ბევრი კარგი აზრები და ბევრი შევნიერი ალექსებებიც დასდევ. რა სარგებლობა გამოიტანე შენ ყოველივე ამანებისაგან? ყველა შენი ნიქნი გამოყიდულია იესო ქრისტეს სისხლით; ყოველივე ამანებში შენ პასუხი უნდა მისცე ღმერთს.


ბოლოს შენ, გაატარე რა შენი ცხოვრების სამი მეოთხედი, როცა სრულებით არ გიფიქრია შენს ცხოვრებაზე, აღიარე შენი ცოდვები და განსწმიდე შენი სინდისი; ძლიერ კარგი. ახლა გკითხავთ: და ფარეთ თუ არა თქვენ თქვენი ცოდვები მონანებით? ეხლა დაუკვირდი შენს თავს და შეიტყე, მიაკვლინე თუ არა შენი სხეული, რომ ამით დაგეფარა შენი აფხორცობა? იცავ თუ არა მარხვა დღეებს, რომ ამით დაფარო შენი მუცლის მოყვარება, სიმთვრალე, და მოუთმენელობა? ჩაიღინე თუ არა მოწყალება, რომ ამით დაგეფარა შენი სიძუნწე? დაუბრუნე თუ არა შენ თავის პატრონს წართმეული ქონება? გადაუხადე თუ არა შენ ზარალი, რომელიც მიაცენე შენი მოყვასის ადგილ-მამულს მოტყუებით და ლალატით და მის პატიოსნებას შენი ცული ენით? გახსოვდეს, რომ, თუ შენ ესეები არ აღგისრულებია, არ მიეცი და არ გადაუხადე, მაშინ შენი ანგარიში სწორი არ არის.

II.

ყოველივე ამანების შესახებ, რაც ეხლა გესმა შენ, ჩემო საყვარელო შვილო, განიკითხე თავი შენი და ეცადე, რომ ეს განკითხვა ცოტა ოდნად მაინც ემსგავსებოდეს ღვთის განკითხვას. ღვთის მსჯავრი იქნება სასტიკი, აღსრულებულ იქნება დაუყოვნებლივ. იმიტომ, პირველად განსაჯე შენი თავი სიმკაცრით, ე. ი. მართლ მსაჯულებით. ჩვენ ბუნებით

მიდრეკილნი ვართ პირფერობით მოვეყრებით ჩვენს თავს. დაბრმავებული ვართ თავმოყვარებით, მხოლოდ ვართ შებრალებით მოვექცეთ ჩვენს თავს, ჩვენს ბიწიერებას ვფარავთ. შენ ზომაზე მეტი ამაყი, ყმაწვილივით ქარაფშუტა, მგრძნობიარე, ექვიანი და გაუგონარი ხარ; და ყოველივე ამანებს შენ უძახი პატიოსნების გრძნობას, გემოვნებას, სულის სიმტკიცეს, სიყვარულს კეთილისა და სიმართლისადმი. სამარცხვინო ხელ-მოჭირებულობა შენს თვალში ბრძნული დამზოგველობაა; სამარცხვინო ლტოლვილებანი ახალ-გაზრდობის უბრალო შეცდომათ მიგაჩნია; შეუფერებელი ლაპარაკი — ხუმრობად, საზოგადოების გასართობად. ხან-დის-ხან შენ გულის სიწმინდით ცუდათა რაცხ მას, რაც მართლაც რომ ცუდია, მაგრამ რა და რა მიზეზებს არ დაასახელებ, რომ ეს სიცუდე დაჰფარო? ხშირად ასახელებ ხნოვანებას, ტანის აგებულობას, აღზრდას და სხვა მრავალ უბრალო მიზეზებს. მაგრამ ეს არ მოხერხდება ღვთის მსჯავრის დროს. ყოველივე ბიწიერება მთელი თავისი სისაძაგლით დაუფარავად გამოაშკარავდება. ყოველივე შენი საქციელი გამოაშკარავებულ იქნება. ცოდვილის მსჯელობა მხილებულ იქნება და ცოდვილი დაისჯება.

სისწორით და სიმართლით განიკითხნეთ თქვენი თავი. გულ-ახდილათ უნდა თქვათ: მე ვიყავ სიამოვნების მოყვარული, გარყვნილი, ჩავიღინე საზიზლარი საქმეები, და ახლაც ასევე ვიქცევი; მე დღემდე ვიყავი საზიზლარი ლუნწი; მე მიყვარდა ვერცხლი; მე ჩავიღინე მრავალი სისაძაგლე, რომ ფული შემეძინა; როცა ჩემი ბედელ-ხულები სავსენი იყვნენ, მე ვნატობდი, რომ გვალვას ანუ სეტყვას აეოხრებია ყანები; მე ყოველთვის ჩემს თავმოყვარებას უნდებოდა; მე მქონდა ცული ენა, შური არ ასვენებდა ჩემს გულს, ექვიანობა მკლავს მე, მსურს სამაგიერო გადაუხადო ყველას. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა თქვას; მე აღვივცე ცოდვებით; ყოველ გვარი უსჯულოებანი აღმეტნენ თავსა ჩემსა. მე არ შემეძლია ბოდიში მოვიხადო ტანის აგებულობით, ვინაიდგან არავითარი ზომა არ მიმიღია, რომ ჩემი სხეული დამემორჩილებია; არც სისუსტით, ვინაიდგან შემწეობა ახლოს მქონდა; არც შემთხვევებით, ვინაიდგან მე არ მოვრიდებოვარ მათ. არამედ პირიქით ვეძიებდი მათ; არც ცული მაგალითებით, რადგან მე ვხედავდი კეთილ კაცებსაც და ვალდებული ვიყავ



მათთვის მიმებაძა. მე ჩავდიოდი ბოროტებას, ვინაიდან ის მსურდა: თუ არ მდომოდა, არც ვიზამდი. აი, ძმანო ჩემო საყვარელნო, როგორ უნდა სჯიდეთ, აი როგორ უნდა განიცდიდეთ თავსა თქვენსა, თუ გვინდა თავიდან ავიცილინოთ მსჯავრი ღვთისა. მაგრამ ამით არ თავდება საქმე. საჭიროა მოივიქცეთ ისე, როგორც ვსჯით.

ღვთის მსჯავრი დაუყოვნებლივ მოვა სისრულეში. როგორც კი იესო ქრისტე წარმოსთქვამს თავის მსჯავრს, უარყოფილი სული უკუგდებული იქნება პირისაგან უფლისა და მოაკლდება მის ცქერას. ამიტომ განაძევეთ თქვენი გულიდაჲ ყველა ცოდვები და გარდაჰქენით თქვენი გული სულის წმიდის ტაძრად. მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ მუდამ იესოსთან ყოფნა.

ყველა ჩვენთაგანი მზათ არის მოინანოს თავისი ცოდვები და აღარ განიმეოროს ისინი, მაგრამ ნამდვილად კი ძნელი სანახავია ასეთი კაცი. ხანგრძლივი და საშიშარი ავად-მყოფობის დროს შენ, ჩემო საყვარელო შეილო, სიმართლით განსაჯე შენი თავი, სწყევლიდი შენს ცოდვებს, დასტოვე ისინი, და აღთქმა დასდე, რომ მათ აღარ განიმეორებდი. ეს ძლიერ კარგია! მაგრამ რა მოხდა შემდეგ? შენ გამომრთელდი, შენი აზრი ნელ-ნელა შეიცვალა; ყველა ის შენი ცოდვები, რომელნიც შენ გაშინებულყნ, ეხლა ასე საშიშნი აღარ არიან, შენ ისევ დაუბრუნდი შენს ცოდვებს, შეიყვარე ეს ამაო ქვეყანა და უკანვე წაიღე შენი მსჯავრი, რომელიც შენ შენს თავზე წარმოსთქვი ავადმყოფობის დროს. ასეთია კაცის ბუნების დაუდევრობა! ერთ დროს ვამხილებთ ჩვენს თავს, ხოლო მეორე დროს ვეღარ ვხედავთ ჩვენს ნაკლულევანებათ. ასე მიდის ჩვენი ცხოვრება, და ბოლოს, ოხ, ღმერთო ჩემო! დგება უბედური წამი ჩვენი განსჯისა, რომელიც განსხვავებულია ჩვენი მსჯავრისაგან; ეს მსჯავრი შეგვაერთებს ანუ განგვაშორებს ჩვენ უფალს.

ჩემო შეილნო, მუდამ გვახსოვდეს ღვთის მსჯავრი; მე აქ სახეში არა მაქვს უკანასკნელი მსჯავრი, რომელიც მოხდება ქვეყნის დასასრულის დროს. მე ვლაპარაკობ კერძო განსჯაზე, რომელსაც მიეცემა თითოეული ჩვენგანი სიკვდილის ჟამს, და რომელიც შეიძლება ძლიერ მოახლოებულიც იყოს. მე ვამბობ, რომ სული ჩემი მალე წარსდგება იესო ქრისტეს წინაშე. და ეს მოხდება ერთ წამს. ცოდვილნო,


რომელნიც ასე უშიშრად მიხვალთ დაღუპვის გზაზე, ნუ დაივიწყებთ ამ წუთს და მუდამ გონებაში გექნესთ იგი!

უზენაესო მსაჯულო ცოცხალთა და მკვდართა, რომელსაც ეხლა მე გიწოდებ ჩემს მამას, ჩემს მაცხოვარს, მოწყალე და ნუგეშინის მცემელს, როცა ჩემი სული განშორდება სხეულს და წარსდგება შენს წინაშე განსასჯელად, მაშინ შენ იქნები მხოლოდ ჩემი მსაჯული. ერთად-ერთი თავშესაფარი, ერთად-ერთი ჩემი იმედი იქნება ჩემი კეთილი საქმეები, რომელთაც შენი მადლის შეწვევით მე ვიქ და ამასთანავე უნდა მეშინოდეს მხოლოდ ჩემი ცოდვების. ჩემი ცოდვები და ჩემი კეთილი საქმეები ჩემთან ერთად წარსდგებიან შენს წინაშე, ყოველივე სხვა წამერთმევა მე, გამშორდება მე, მიმატოებს მე. რა საზარელია ეს აზრი! გვედრები, მეუფეო, რომ უფრო მომეტებულად საშიშარი ჰქმენ ეს აზრი ჩემთვის, რომ შენი მსჯავრის შიში გამიჯდეს მე ძვალსა და რბილში. მომეც მე ძალი, რათა განვაგდო ჩემგან თავმოყვარება, აღვიტურვო სიწმიდით, რათა ვსაჯო, ვამხილო და დავსაჯო ჩემი თავი სიმართლით, რომ ამით ავიშორო შენი მსჯავრი და გამოვცხადდე შენს წინაშე, ღმერთო ჩემო, რომ მივილო გვირგვინი, რომელიც აღთქმული აქვს ყველას, რომელნიც სიკვდილის უკანასკნელ ჟამამდე ვლენან მცნებისაებრ შენისა! ამინ.

საეჭუო კითხვების განმარტება.

1) აქვს თუ არა უფლება შტატ გარეთმა მღვდელმა დაიკიდოს თეთრი მკერდის ჯვარი ვერცხლისა და იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახსოვრათ გამოცემული მედალი?

— ვინაიდან ეცხლის თეთრი ჯვარი, შემოღებული სატარებლად მღვდელთაგან, არ არის ნიშანი მღვდლის დჯილდოებისა, არამედ ნიშანია მღვდლობის ხარისხისა, ამისათვის შესაძლებელია შტატ-გარეთ მღვდლებსაც დაიკიდონ მკერდზედ. ჩვენის აზრით, არ შეუძლიათ ამ ჯვრის ტარება მხოლოდ მათ, ვინც მღვდლობის ხარისხს მოკლებულია და მედალითის ადგილზე არს ჩამოყვანილი. მედალის



დაკიდება ყოველ შტატ-გარეთ მღვდელსაც შეუძლია, თუ იგი მსახურებდა იმპერატორის ალექსანდრე მესამის მეფობის დროს.

2) რისთვის ერიცხება ჯამაგირიდგან ორი კაპეიკი მანეთზე მედავითნეებს, თუ კანონით პენსია მათ არ ეძლევათ?

— ორი კაპეიკი მედავითნეებს ჯამაგირიდგან მანეთზედ ერიცხებათ ერთ დროებითად შემწეობის ფულის მისაცემი თანხის შესადგენათ. ამისათვის ერთ დროებითი შემწეობა ოცდახუთი წლის სამახურისათვის ეძლევათ როგორც თვით მედავითნეებს, აგრეთვე მათი სიკვდილის შემდეგ მათ ოჯახობას.

3) ვის ხარჯზე უნდა სცხოვრებდეს მღვდელი, გაგზავნილი მონასტერში რაიმე დანაშაულობისათვის?

— მღვდელი თუ მონასტერში არის გაგზავნილი დროებითად, ისე რომ თავის ხარისხიდგან არ არის ჩამოკეანილი, მაშინ ნახევარი შემოსავალი მრევლისა ეძლევა მას და შეუძლია ღვალდებულიც არის თავის ხარჯზედ იცხოვროს, მაგრამ თუ სამუდამოთ არის გაგზავნილი მონასტერში და მრევლისაგან სრულებით დათხოვნილია, მაშინ, რასაკერაეღონა, სასულიერო მართებლობა განუწყესებს მას სარჩოსაც მონასტრიდგან.

4) გარდაცვალებული მღვდელი კამილაგკით და სკუფით უნდა დაიმარნოს თუ არა?

— კამილაგკა და სკუფია დამამტკიცებელი ნიშანი არის მღვდლის კეთილი სამსახურისა. თუ კანონით რიგია, რომ გარდაცვალებული თავისი შესაფერისი შესამოსლით იყოს შემოსილი, მაშინ რიგია, რომ მას ჰქონდეს ყველა ის, რასაც ატარებდა ტრაპეზის წინ სამსახურის დროს. ამისთვის რიგია, რომ გარდაცვალებულ შემოსილ მღვდელს კამილაგკა და სკუფიაც ჰქონდეს.

5) აქვთ თუ არა უფლება მღვდელ-მთავრის და არქიმანდრიტის ნათესავებს, რომ მათ მემკვიდრეობის უფლებით მიითვისონ მიტრა, კვერთხი და სხვა ამისთანა სამღვთო-მსახურების დროს ხმარებულ ნივთები?

— გარდაცვალებული მღვდელ-მთავრის ნათე-

სათა სრული უფლება აქვთ მემკვიდრეობის უფლებით წილონ მხოლოდ ის ნივთები, რომელნიც ნაჩვენები არიან მე-X ტომის პირველ ნაწ. 1186 მუხლ., გამოცემულს 1887 წლ. ამ მუხლში დასახელებულია მაგ. პანაგია და ჯვრები, ძვირფასი ქვებით შემკულნი. ამავე მუხლში მოხსენებულია, რომ გამოხატულება ამისთანა ძვირფასი ქვებით შემკული პანაგისა და ჯვრებისა გამოღებული უნდა იყენენ და დაცულნი კათედრის სალაროში და სხვა უნდა გადაეცეს მემკვიდრეთა. სხვა ნივთები, მაგ. მიტრა, კვერთხი და სალაროს სხვა კუთვნილებანი კანონით არ შეუძლიათ მემკვიდრეება დაისაკუთრონ. ამისთანა ეკლესიის სალაროს საკუთვნიელი ნივთების გარდაცემა მღვდელმთავრებს ანდერძითაც არ შეუძლიათ სხვა პირებზე, თუ გინდ რომ ეს ნივთები მათი საკუთრებისაგანაც იყოს მოპოებული.

რედაქციის პასუხი.

მღ. მ. ალ. ტატუნოვს. ერთი მანეთის წიგნები გარდაეცა ჩემგან საჩხერის უფასო სამკითხველოს თქვენის სახელით.

ზოგ. ხელის მომწერლებს. თქვენგან გამოგზავნილი ფულები ამა წლის კი არ არის, არამედ წასრული წლისა. ამისათვის გთხოვთ, ნუ შეცდებით და ნურც ჩვენ მოგვატყუებთ.

ოტია ბე-ძეს. ძლიერ სასიამოვნო არის, რომ თქვენი მოძღვარი აგრე საქებად იქცევა, მაგრამ თქვენი ვეჭილობიდან არა სჩანს, რომ მთელი მრევლისაგან მადლობა გამოუცხადოთ.

მღ. გ. აბ-ძეს. თქვენი კალენდარული ცნობები არ იბეჭდება.

განხილვანი.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლისაგან.

ქუთაისის სამეურნეო სკოლის მასწავლებელი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ სასწავლებელში მეფუტკრეობას, სასწავლებლის მმართველის ნება-დართვით, აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიათ მისგან მოიპოვონ საუკეთესო სკები დადანიისა და ლაიანისა თითო ცხრა-ცხრა მანეთათ. სკოლებსა და დაწესებულებათა კი დაეთმობათ რვა-რვა მანეთათ. ამ სკების სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ მათში ფუტკარი კარგათ ინახება, ადრე შენდება და დონიერდება, წარა-მარა არ იყრის, მუშაობა უადვილდებათ. ამისთანა სკებში ფუტკრის მოვლა მეტად საადვილოა და სასარგებლო. ერთი ამისთანა სკა უფრო მეტს თაფლსა და სანთელს მისცემს მეფუტკრეს, ვინემ ათი და თუთხმეტი როფის სკა. მღვდლებსა და სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის სწორეთ საჭიროა ამისთანა სკის ქონება. საგაბოა ერთი ეს სკა სანიმუშოთ, ამ სკის მიხედვით მერმე თვითონ იათათაც შეუძლიათ გაიკეთონ.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ კვირულ ვამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

- 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.
- „რუსული „ 3 მ. — „რუსული „ 2
- „ორივე გამოცემა 5 — „ორივე გამოცემა 3

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზაში, ბ. შიო ქუჩუკა შეილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში — ყარაქან ჩხვიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. სახუტოვთან. ახალსენაკში — სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მაჭარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლაზით გაზეთები დაეთმო-ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ს ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილეს ბის სახლებში და ვეირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარემე მცხოვრებთა ქურნალის დაბარება შეუძლიან ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1897 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერთათვის საჩუქრათ დანიშნულია რედაქციისაგან

მ უ შ რ ე ბ ი,

შედგენილი პროფესორის ალ. ხახანაშვილისა და გამოცემული „მწყემსი“-ს რედაქციისაგან.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განმარტება: ადამიანის ჭეშმარიტი ბედნიერება მხოლოდ სარწმუნოებაშია, და თუ იგი ამას ვერ პოულობს სარწმუნოებაში, რა არის ამის მიზეზი? — მშობლების და აღმზრდელების საყურადღებოდ. — შიმშილობა ინდოეთში. — შავი ჭირი. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიება ძრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კათილ-წენობაზე: საუბარი მეორე.

— საეკლე კითხვების განმარტება. — რედაქციის პასუხი. — ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლისაგან. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 февраля 1897 г. ✦ Цензоръ прот. Е. Е л и е в ъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.